ს ა კ ო ნ კ უ რ ს ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. ახმეტის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქალაქ **ახმეტში ყაზბეგისა და რუსთაველის ქუჩებზე არსებული წყაროების რეაბილიტაციის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტციის მომზადება.**

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100(ასი) ლარს.

3.1. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 5000(ხუთიათასი)ლარი.

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50(ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://procurement. gov.ge).

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 ან მე-5. პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ანდა ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელოწერილი შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

9. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2011 წლის 19 აგვისტოს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის 24 აგვისტოს 15 -საათზე.

11. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2011 წლის 24 აგვისტოს 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე. ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ.№49, მუნიციპალიტეტის გამგეობა.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

14. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით)

ბ) გასაწევი მომსახურების ვადის შესახებ.

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

ე) რეკვიზიტები.

15. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება 100(ასი) ლარს არ განიხილება.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის ვადაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

18. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები ესკიზებში.

19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.

20. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.

21. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტებთან დაკავშირებული განმარტების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონტაქტო პირისგან მარიკა სააკაძე – 577-950-141.

22. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტი:

- როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არამეწარმეთა იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ტექნიკური დავალება:

კონკურსში გამოცხადებულ ქალაქ ახმეტაში ყაზბეგისა და რუსთაველის ქუჩებზე არსებული წყაროების სარეაბილიტაციო სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენისათვის:

1. წყაროების მიმდებარე ტერიტორიის მოპირკეთების სიტუაციური გეგმა.
2. ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები. საპროექტო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

საკონკურსო წინადადება

თარიღი _____

ვის: ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას

ვისგან:_____

შევისწავლეთ რა საკონკურსო დოკუმენტაცია . თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ_____ და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად _____ ლარი. ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ _____ გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება")ძალში შესვლიდან _____ საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად. (აქ შეიძლება ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის ვადები ან დაწყება დასრულების კონკრეტული თარიღი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია _____ დღის განმავლობაში ,დაწყებული შემდეგი თარიღიდან _____

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N 3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.

საკონკურსო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1 _____

2_____

3_____

4_____

5_____

6_____

დირექტორი: _____